წელიწადი პირველი. — № 7. ხუთშაბათი, 3 აგვისტო 1906 წ.

ფასი გაზეთისა: წლის დამლევამდე 1 მ. 60 კ., სამის თვით — 80 კ., ცალკე ნომერი 6 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: **განოვის ქუჩა, სახლი გურგენოვისა № 8** და წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

შინაარსი

ერთობა. — გლეხის ნაამბობი, ლექსი. — საუბარი გლეხთან. — ახალი ციხე, ლექსი. — გლეხების და მუშების წერილები. — გლეხს, ლექსი. — ჩვენებური ამბები. — რუსეთი. — ვინ რითი ცხოვრობს.

3144

რედაქციის კანტორა სთხოვს აგენტებს ანგარიშის გასწორება დააჩქაროონ და ეცადნენ თვეში ორჯერ წარმოადგინონ გაყიდულ გაზეთის ფული.

„გლეხის“ რედაქცია ღია არის ყოველდღე ორა-უქმე დღეების გარდა, დილის 9 საათიდან 1 საათამდის და ნაშუადღევის 4 — 6 საათ.

ერთობა

—:—

ჩვენ ვსთქვით, რომ მუშა ხალხის სიღარიბის და უბედურების მიზეზია დღევანდელი წარმოება. წარმოება ისეა მოწყობილი, რომ ვინც მუშაობს, მას ხელში არაფერი რჩება, ვინც არ მუშაობს, ის კი მდიდარია და ყოველ დღე უფრო და უფრო მდიდრდება. ეს რატომ ხდება? იმიტომ, რომ მუშას არა აქვს საწარმოვო იარაღი, მასალა, ფული, მიწა; მუშა იძულებულია სხვას დაექირავოს, დაექირავოს იმას, ვისაც აქვს ფული, იარაღი, ქარხანა, მიწა, და ვინც აკეთებინეს ორჯერ და სამჯერ იმაზე მეტს, რაც ქირას აძლევს. დღეს მუშა ხალხი სხვისაგან, მდიდრებისაგანაა დაქირავებული, სხვისი მონაა, სვისთვის მუშაობს, სხვას ამდიდრებს და ასუქებს, თვითონ კი ლუკმა პურს ძლივს-ღა შოულობს.

თუ გვინდა მოვსპოთ ეს მონობა და უსამართლობა, უნდა მოვსპოთ მუშის დაქირავება; მუშის დაქირავება მაშინ მოისპობა, როცა მიწა, იარაღები, მასალა, ქარხანა-ფაბრიკები არ იქნება კერძო საკუთრება; კერძო საკუთრება მოისპობა მაშინ, როცა მექარხნეებს და მემამულეებს ჩამოერთმევათ ქარხანა-ფაბრიკები და მიწები და, რაც ქვეყანაზე სიმდიდრეა, იქნება საზოგადო, და ამასთან ერთად დამყარდება საზოგადო წარმოება; დღეს რომ ყოველი მექარხნე თავისთვის ცალკე აწარმოებს თავის საქმეებს, მაშინ წარმოება იქნება მთელი ხალხის ხელში; მუშა ხალხი თვითონ და თაკის არჩეული კაცების შემწყობით საერთოდ მოაწყობს წარმოებას, როგორი საქონელი რამდენი უნდა გაკეთდეს, როგორ უნდა დანაწილდეს, ვინ სად უნდა იმუშაოს, რა უნდა დაამზადოს და სხვა.

ასეთი წარმოება იქნება ერთობის წარმოება, სოციალისტური წარმოება. ამ ერთობის დროს ფაბრიკები, ქარხნები, მიწე-

ბი, მთები, მადნები, რკინის გზები, ხომალდები, შენობები იქნება მთელი ხალხის საერთო საკუთრება; მაშინ ვერავინ ვერ იტყვის, ეს ჩემია, ის შენიო. ყველაფერი მთელ ხალხისთვის იქნება, ყველასთვის მოსახმარებლად, ყველას საკეთილდღეოდ და გასახარებლად.

მაშინ არ იქნება მდიდარი და ღარიბი, მშიერი და მეტის მეტად გასუქებული, არ იქნება მჩაგვრელი და ჩაგრული, გამყვლეფელი და გაყვლეფილი, ტიტველი და ფარჩებში გამოწყობილი, ერთი არ იცხოვრებს სასახლეში და მეორე ქოხში, ერთი არ იმუშავებს დღეში 16 საათს და მეორე უსაქმოდ არ იქნება, არ იქნება ბატონი და ყმა, არ იქნება ბატონი და მოსამსახურე. მაშინ ყველამ უნდა იშრომოს, ყველამ ერთნაირად უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთო წარმოებაში და ყველას საყოფნი ექნება საჭმელი, სასმელიც, ტანისამოსიც, ბინაც და სხვა ყველაფერი, რაც კი დასჭირდება ადამიანს.

მუშაობა იქნება სავალდებულო, ყველამ უნდა იმუშაოს, მაგრამ საკმარისი იქნება, რომ ადამიანმა დღეში 4—5 საათი იმუშაოს მხოლოდ. არ იმუშავებენ ბავშვები, ახალგაზდები და მოხუცები. მუშაობა ისე იქნება მოწყობილი ქალაქშიაც და სოფელშიც, რომ ყველასათვის სასიამოვნო იქნება. ყველას ბევრი დრო დარჩება მოსასვენებლად, გასართობად, გასავითარებლად. საკმარისი იქნება, ყველა ადამიანმა თავისი სიცოცხლეში ათი-თორმეტი წელიწადი იმუშაოს საზოგადო წარმოებაში, მერე კი შეუძლია როგორც უნდა, ისე მოიხმაროს თავისი დრო.

დღესაც ქვეყანაზე იმდენი სიმდიდრეა, რომ დავანაწილოთ, ყველას ეყოფოდა, მაგრამ ერთობის დროს კიდევ უფრო გაიზდება სიმდიდრე. მუშაობა უკეთესად მოეწყობა, ადამიანი უფრო ხალისიანად იმუშავებს, მეტს გააკეთებს, ქვეყანაზე მეტი იქნება ყოველნაირი სიმდიდრე და ამ სიმდიდრით დასტკბება ყველა. დღეს ყველანი არ მუშაობენ, მცხოვრებთა ერთი მესამედი არაფერს აკეთებს, სხვის ნაოფლარით ცხოვრობს; არ მუშაობენ სა[illegible] დათები, არაფერს აკეთებენ ვაჭრები, ტ[illegible] ლად ცდებიან ხშირად მუშებიც და გ[illegible] ხებიც, რომელთაც ყოველთვის არა [illegible] სამუშაო. როდესაც ერთობა იქნება, მ[illegible] რასაკვირველია, ყველა იმუშავებს და [illegible] ლაფერი ბევრი გაკეთდება.

სწავლა-განათლება იქნება სავალდებ[illegible] ლო, ყველა ისწავლის, ყველა ნასწ[illegible] და განათლებული იქნება; შრომა გაადვ[illegible] დება, ადამიანი ნაკლებს დროს მოა[illegible] მებს შრომას, ის მეტს მოიცლის გონ[illegible] საკარგიშოდ, ჭკუის გასავითარებლ[illegible] მეტს დროს შესწირავს მეცნიერებას [illegible] სხვა და სხვა გამოგონებას, გამოიგონ[illegible] ახალ-ახალ მანქანებს, ამის შემწეობ[illegible] შრომა კიდევ უფრო გაადვილება, ად[illegible] ანი კიდევ უფრო მეტს გააკეთებს, მ[illegible] სიმდიდრე იქნება ქვეყნად, მეტი ბ[illegible] ერება დამყარდება.

მოისპობა კერძო საკუთრება, მოის[illegible] ბა ადამიანის დაქირავება, დამყარდება თ[illegible] სწორობა და ერთობა, დამყარდება სა[illegible] გადო სიმდიდრე და საზოგადო მუშაო[illegible] მთელი ხალხი დაეპატრონება ყველა სიმ[illegible] დრეს, თვითონ მოაწყობს მუშაობას და ყ[illegible] ლა მიიღებს, რაც კი დასჭირდება და რ[illegible] ნიც დასჭირდება. მაშინ მოისპობა მტ[illegible] სიძულვილი, ქიშპობა, ძარცვა-გლეჯა, [illegible] ზაკობა, გარკვნილობა. ერთი არ დ[illegible] ყებს მეორეს მტრობას და ქიშპობას, რ[illegible] გან ერთი ინტერესი ექნებათ, ერთად [illegible] შავებენ და ძმურად გაინაწილებენ ყვ[illegible] ფერს. ერთი არ გაძარცვავს მეორეს, რ[illegible] გან ყველაფერი საერთო იქნება და ყ[illegible] ლას შეუძლია იშოვოს, რასაც კი [illegible] სურვებს. დღეს ადამიანი გაჭირვებ[illegible] და შიმშილის გამო ათასნაირ უსინდ[illegible] ბას და გარყვნილობას სჩადის, თავის[illegible] ყიდის, ერთი მეორეს ატყვილებს, ძმა [illegible] არ ინდობს, შვილი მამას, ქალი ქმ[illegible] გადის და თავის სილამაზის მუშტარს [illegible] ძებს. ეს ალარ იქნება, რაკი მოისპობ[illegible] ჭირვება და შიმშილი. ადამიანი ადამ[illegible] არ მოატყვილებს, ან რატომაც უნდ[illegible] ატყვილოს, რა ექნებათ ერთობის დ[illegible]

გასაყოფი და ერთმანეთის წასართმევი? ყველა ერთი მეორეს ნდობით და სიყვარულით მოეპყრობა, ერთმანეთს არ მოატყვილებენ, არავინ არ ულალატებს თავის სინდისს. ავაზაკობა და გარყვნილობა მოისპობა, რადგან მოისპობა ამის მიზეზი სიღატაკე და შიმშილი.

მოისპობა ვაჭრობა და ათასნაირი სისაძაგლე, რომელიც თან ახლავს ვაჭრობას. ყიდვა-გაყიდვა არ იქნება საჭირო მაშინ, როდესაც წარმოება იქნება საზოგადო, საზოგადო იქნება საკუთრება და მუშაობა: ყველა იმუშავებს და მიიღებს, რაც კი დასჭირდება.

ეს იქნება ერთობა, სოციალიზმი. მაშინ დამყარდება დედამიწაზე ნამდვილი თანასწორობა, სიყვარული, ძმობა. ყველა იქნება კმაყოფილი, არავინ არ დაიჩაგრება. მაშინ ადამიანი ერთიან გამოიცვლება: ამაღლდება სულით, მისი გონება უფრო განვითარდება, მისი სინდისი უფრო გაკეთილშობილდება, ადამიანი იქნება უფრო მაღალი ჭკუის, ზნეობისა და ხასიათის პატრონი. მაშინ ადამიანი იქნება ნამდვილი ადამიანი და ეცდება, ისე მოაწყოს ცხოვრება, რომ ეს ქვეყანა დაემსგავსოს სამოთხეს.

აი, ეს ერთობა არ უნდა დავივიწყოთ არასოდეს, ამხანაგო გლეხებო! ამ ერთობისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ, ეს უნდა იყოს ჩვენი საგანი. ვიბრძოლოთ მიწისა და თავისუფლებისათვის! თუ მიწა და თავისუფლება არ მოვიპოვეთ, ისე სულსაც ვერ მოვითქვამთ, ისე წელში ვერ გავიმართებით. მაგრამ მარტო მიწის და თავისუფლების მოპოვებით ვერ დავიმკვიდრებთ ბედნიერებას, თავს ვერ დავაღწევთ ყველა გაჭირვებას. საჭიროა სრული ერთობა, საჭიროა სოციალიზმი. დღეს ვიბრძოლოთ მიწისა და თავისუფლებისათვის, მოვიპოვოთ მიწა და თავისუფლება, რომ ამით ფეხი მოვიმაგროთ, გავლონიერდეთ, წელში გავიმართოთ, მაგრამ მიწას და თავისუფლებას რომ მოვიპოვებთ, გახვაგრძოთ ბრძოლა, მედგარი ბრძოლა სრული ერთობისა და თანასწორობისათვის, სოციალიზმისათვის. დიდი შეღავათი, დიდი გამარჯვება, დიდი მოგება იქნება ჩვენთვის მიწა და თავისუფლება, მაგრამ არ უნდა გავჩერდეთ, არ უნდა დავკმაყოფილდეთ, როდესაც მიწა და თავისუფლება იქნება მუშა ხალხის ხელში, და გავსწიოთ წინ სოციალიზმისაკენ, რომელიც მოგვანიჭებს ბედნიერებას!

ი. ფალ

გლეხის ნაამბობი

გლეხი ვარ, მიწის მშრომელი,
დღე და ღამ ოფლის მღვრელია,
შავ ხნულათ გადავაქცივ
ულრანი ტყე და ველია.
გუთნის, სახნის და საკვეთით,
მარჯვეთ გამქონდა კვალია,
ჩემს მობბინე ჯეჯილზე
მტერსა რჩებოდა თვალია.
მეც მიხაროდა, ვსტკბებოდი
შრომის ნაყოფის ნახვაზე.
ნამგალს ვლესავდი ღიმილით,
მომემკა თავის იაოზე,
რომ არ წაელო ყვავ ყორანს
ის ჩემი ჭირნახულია;
ჩემსა სიხარულს და შრომას
არ ჰქონდა დასასრულია;
ძირები დავდგი დიდრონი
ცოლ-შვილის გასახარია,
კალოს ვლეწავდი კევრითა,
შიგ მება შვინდა ხარია;
ვლეწავდი, ვანიავებდი,
თანაც ვხარობდი ხვავზედა.
ვფიქრობდი: ზამთრათ მეყოფა,
რაც გინდა ვჭამოთ ძალზედა.
მთლათ გამიცრუვდა იმედი —
გაოხრდეს ჩემი ბედია —
მღვდელმა მომთხოვა საკურთხი,
ბატონმა — მეოთხედია.
ორთავეს ძალა ვუჩვენე,
არ მივეც არაფერია,
ეგზეკუცია მომგვარეს,
ზურგზე მადინეს მტვერია.
ამიწიოკეს ცოლ-შვილი,
წამართვეს ნაოფლარია,
შავმა და ბნელმა ძალებმა

დღე დამაყენეს მწარეა.
მხეცურად შემომესიენენ,
ამიკლეს სახლი, კარია,
რაც კი გამაჩნდა, წამართვეს,
თავს დამცეს რისხვის ზარია.
ცოლს ამიხადეს ნამუსი,
იესხვერპლეს ჩემი ქალია.
დამლუპეს, გამათახსირეს,
ცეცხლზედ დამისხეს წყალია.
ვერ ავიტანე შერცხვენა,
ხელთ ვიგდე ჩემი ცულია,
გამხეცებულსა მტარვალსა
მწრაფლ ამოვართვი სულია.
თავი ვანებე სახლ-კარსა,
ვით მხეცი გაველ ველათა,
ერთგული მიწის მშრომელი
გარდვიქეც კაცის მკვლელათა.
ეხლა დავდივარ ჯალებში,
გავყურებ კლდისა პირებსა,
ვიცი, აქ დავლევ სიცოცხლეს,
ველარა ვნახავ შვილებსა.
ჩემი სახლია ხშირი ტყე,
სათეს[illegible] ფიდი ველია.
ღმერთო, დაამხე ამ ქვეყნათ
ყველა ბატონი, მღვდელია:
მათ მომაშორეს ცოლ-შვილსა,
გამხადეს ველათ მსვლელია!
ნუთუ წაწყდების, უფალო,
სიმართლით კაცის მკვლელია?...

გ. შინატეხელი.

საუბარი გლეხებთან.

შეერთდით!

წინა წერილში გითხარით, რომ ზოგიერთა ქვეყნის გლეხებმა შეგვნიშნეს მოაწყეს მეოქი საქმე. თქვენც შეგიძლიანთ თქვენი ცხოვრების გაუმჯობესობა, იმისთვის საჭიროა, რომ თქვენც იმავე გზას დაადგეთ, რა გზითაც მიაღწიეს თავიანთ მიზანს თქვენმა ამხანაგებმა. ისინიც წინად თქვენსავით დარიბ-დატაკები იყვნენ, რადგან იმათშიაც ისეთი ქიშპობა და ერთმანეთის ჯიბრი იყო, როგორც თქვენშია ეხლა, მაგრამ იმათ გაიგეს თავიანთი შეცდომა, გაიგეს, რომ ქიშპობა გლეხებს დუშავს, გაიგეს, რომ ძალა ერთობაშია და შეერთდნენ, შეკავშირდნენ და ძალიანაც მოიგეს: ისინი მაღე მოდონიერდნენ და რაც ჩანი გადის, მათი ცხოვრებაც თანდათან უმჯობესდება.

მიგბაძეთ იმათ მაგალითს, გლეხებო! ნუ ჭკარგავთ ტეუიდად დროს შემამულეების დანძდვაგინებაში, გამოტედით, რომ თქვენი უბედურობა ისევ თქვენი ბრალია და თუ გინდათ, რომ თქვენს უბედურებას ბოლო მოეღოს, გაანებეთ თავი ერთმანეთის ჯიბრს, ქიშპობას და შეერთდით.

ქალაქის მშრომელი ხალხი დიდი ხანია შეერთდა, დაარსეს კავშირები და ერთად შეუდგნენ ბატონებთან ბრძოლას. ქალაქებში არსებობს კავშირები რკინის გზებზე მოსამსახურეებისა, ამწყობებისა, ფეიქრებისა, ხელზე მოსამსახურეებისა და სს. თქვენც ასე უნდა შეერთდეთ და ასეთი კავშირი დაარსოთ. ჯერ უნდა შეერთდეთ ერთი სოფლის გლეხები, მერე ყველანი ერთმანეთს შეუერთდებით და ისეთ ძალას მოიპოვებთ, რომ თქვენ ვეღარაფერი დაგიდგებათ წინ.

ესლა კი დაქსაქსულები და დათანტულები ხართ, ამიტომ თქვენ ერთი ნამტეცი ძალაც არა გაქვთ და ერთმანეთის ქიშპობით თვითონვე ითხრით სოფლავს. მაშინ კი, როცა ერთად დარაზმდებით, ერთმანეთს ხელს ჩაჭიდებთ და ერთმანეთს ზურგს გაუმაგრებთ, შეერთებულის ძალით მოსთხოვთ მემამულეებსა და მოვაგრობას მიწას და თავისუფლებას.

თითო საზოგადოება თითონვე დაწესების ხელოვანს, სამუშაო დღეს და შეიმუშავებს იმ პირობებს, რა პირობებითაც უნდა იმუშაოს ყველამ. როცა ყველას ერთი პირი გექნებათ და ერთმანეთს ადარ უდალატებთ და ადარ შეეჯიბრებით, მემამულეებიც ძალაუნებურად დაგითმობენ და ამ პირობით მოგცემენ მიწას, რა პირობასაც თქვენ დაუდებთ. როცა ამ საქმეს შასრულებთ, როცა ყველანი ძმებსავით ერთმანეთს შეეყვარებთ, დაესმარებით და უშველით, მაშინ თქვენ ადვილად დაიკლებინებთ საჯარო ფასს. ამის შემდეგ თანდათან ცხოვრება გაგიადვილდებათ, უკეთეს ხალხებს აიშენებთ, უკეთესი საჭმელი გექნებათ, უკეთესად ჩაიცვამთ და საჭირო დროს შეძლება გექნებათ სწავლისთვის. მოვა დრო, როცა თქვენც ისე მოიწყობთ ცხოვრებას, როგორც თქვენმა უცხოელმა მეგობრებმა მოიწყეს, მოვა ის დროც, როცა თქვენ და თქვენი ამხანაგი მუშები

სამუდამოთ მოიშორებთ კისრიდან მონობის უღელს და მოიპოვებთ სრულ თავისუფლებას.

მაშ საქმეს შეუდექით!

ნუ ჰკარგავთ დროს! დროა ხელი გაანძრიოთ და ბორკილები მოიშოროთ. თქვენ მარტო თქვენი თავისთვის კი არ უნდა იზრუნოთ, არამედ თქვენი შვილებიც უნდა გახსოვდეთ. იცოდეთ, რომ ისინი დაგწყევლიან და შეაგინებენ თქვენს ხსოვნას, თუ გზა არ გაუკაფეთ და არ გამოიყვანეთ იმ დაწყევლილ ცხოვრებიდან, რომელშიაც თევზებივით ფართხალობდით თქვენ და თქვენი მამა-პაპები.

მაშ ჩქარა შეუდექით საქმეს! ცხოვრების გასაუმჯობესებელი იარაღი ხელში გიჭირავთ. ამ იარაღს სახელად კავშირი ჰქვიან.

შეერთდით, დაარსეთ თქვენი საყოველთაო კავშირი და ნახავთ, რომ თქვენი ცხოვრება მაშინვე უკეთეს კალაპოტში ჩადგება და ეხლანდელი სიღატაკეც თანდათან დაგავიწყდებათ.

მაგრამ თუ წინანდებურად ერთმანეთს კრიჭაში ჩაუდექით, ქიშპობა დაუწყეთ და უფრო უარესად გადატაკდით, მაშინ ტყუილად ნუ ლანძღავთ მემამულეებს და გამოტყდით, რომ ყველაფერი თქვენი ბრალია და თქვენ უბედურებაში ისევ თქვენვე ხართ დამნაშავე.

დიახ, თქვენვე იქნებით დამნაშავე, რადგან თქვენ რომ კავშირი შეგეკრათ და ერთობა დაგეწესებინათ, თქვენი ცხოვრებაც გაუმჯობესდებოდა, თქვენ მოიპოვებდით ძალას და მალე გაიმარჯვებდით, ამის მაგივრად კი ისევ ღარიბები, საცოდავები და საწყლები იქნებით.

როგორ უნდა მოაწყოთ კავშირები?

წედან გითხარით, რომ თქვენც ისე უნდა მოაწყოთ თქვენი კავშირი, როგორც მოაწყეს კალატოზებმა, დურგლებმა, მოსამსახურეებმა, რკინის გზის მუშებმა და სხვა შეგნებულმა მშრომელმა ხალხმა. იმათ ერთი პირი შეჰკრეს და ერთგულად იბრძვიან თავიანთ ცხოვრებისთვის და ბედნიერებისთვის. თქვენი კავშირი კანონიერიც კი იქნება და ვერავინ ხელს ვერ შეგიშლით. თქვენ იმიტომ კი არ ერთდებით, რომ მემამულეები გაადასწყვიტოთ ან დახოცოთ; თქვენ იმიტომ ერთდებით, რომ უფრო ძვირათ გააქიროთ თქვენი მარჯვენა და მემამულეებს საიჯარო და სხვა-და-სხვა პირობები თქვენ სასარგებლოდ დაათმობინოთ. ეს არის თქვენი უფლება, ეს არის თქვენი მოვალეობა და არავის არ შეუძლიან ან ხელი შეგიშალონ, ან აგიკრძალონ.

თქვენ კავშირში უნდა შევიდნენ ყველა გლეხები. არაფერიც არ გამოვა ისეთ კავშირისაგან, რომელშიაც შედიან მარტო ღვთის მორწმუნე გლეხები, ან მარტო ისეთი გლეხები, რომელნიც ეხლავე თხოულობენ რესპუბლიკას და სოციალიზმს. მე გითხარით, თქვენ კავშირში ყველანი უნდა შევიდნენ მეთქი. ეს იმიტომ, რომ ერთმანეთში ქიშპობის მოსასპობად და მემამულეებთან საბრძოლველად საჭიროა ყველა გლეხების შეერთება. ამიტომ თქვენ არავითარი ყურადღება არ უნდა მიაქციოთ თქვენი ამხანაგების მიმართულებას. ყველა გლეხი უნდა შევიდეს კავშირში, რადგან იმას და სხვა გლეხებსაც ერთი საქმე აქვთ: თქვენ ერთდებით გლეხების ცხოვრების გასაუმჯობესებლად და თქვენთვის სულ ერთი უნდა იყოს, ვინ არის თქვენი მეორე ამხანაგი გლეხი, სოციალ-დემოკრატია, ფედერალისტია, ავტონომისტია, თუ სხვა ვინმე.

თქვენ ყველამ პატივი უნდა სცეთ ერთმანეთის აზრებს და ერთმანეთს სიყვარულით და ძმურად ექცეოდეთ. თუ ასეთ გზას დაადექით, ეხლავე იცოდეთ, რომ გამარჯვება თქვენი იქნება.

ნუ გეშინიათ!

ვიცი, რო ზოგი თქვენგანი მკითხავს: მემამულეებმა რომ გაიგონ, რომ ჩვენ გლეხთა კავშირში ვართ ჩაწერილი და სამუშაო აღარ მოგვცენ, ან მიწები წაგვართვანო?

ასეთ კაცს ასე უპასუხებთ: ამწყობებს, მოსამსახურეებს და სხვა მუშებსაც ეშინოდათ და ამბობდნენ, ბატონი დაგვითხოვსო, მაგრამ ბატონებმა ვერავინაც ვერ დაითხოვეს. მაშ რაღა მარტო თქვენ არ შეგიძლიანთ კავშირის შეკვრა?

მართალი უნდა გითხრათ, რომ სოფლებში ხშირად მოიპოვება ისეთი გულკეთილი და ჭკვიანი მემამულე, რომელიც ყოველთვის უშველის გლეხებს. იმან კარგათ იცის, რომ დათმობა სჯობია იმ დღეს, როცა დამშეული და მოთმინებიდგან გამოსული გლეხები ორთითებითა და ბარებით წავლენ მემამულესთან საომრად. ასეთი მემამულეები ყოველთვის გლეხების მხარეს დაიჭერენ. ესეც რომ არ იყოს, როგორ გაბედავენ მემამულეები მიწების წართმევას? ერთს რომ წაართვან, ვიღას უნდა მისცენ? თუ გლეხებს ერთი პირი აქვთ, ვინ

ადგებს ასეთ მეშაჰულესგან მიწას? მაგრამ თუ მაინცა და მაინც რომელიმე მეშაჰულე წარმოგვს ვისმეს მიწას, ასეთს ბლეხს კაცშიერმა ხელი უნდა გაუმარჯოს და დაეხმაროს ამ დროშდის, სანამ ის სხვა საშუშაოს აშოგნის.

ნუ ხართ უნდობლები!

აქნებ ვინმე აკითხოს: ვინ იცის რაზე დაიხარჯება ჩვენი ფული! ვინ იცის, აქნებ ჩვენი ფული გაფლანგონ და ცარიელზე დაგვტოვონ. ამაზე ასეთ ბასუხს მოგცემთ:

თქვენი ფული ამაზე დაიხარჯება, რაც საჭირო აქნებ. ენ საქმე თქვენვე გექნებათ მონდობილი და ფულსაც ისე დახარჯავთ, როგორც თქვენ გინდათ.

თითო სოფელი თითონ ირჩევს ფულის ამკრეფს და ფულის შენახვას ისეთ კაცებს მიანდობს, რომლებსაც ენდობა. ფულის შემნახველად უნდა ირჩიოთ მდიდარი კაცი, მაგრამ ის თი კი, რომელიც თქვენი მეგობარია და თქვენ საქმეს მსარეს უჭერს. ასევე ფრთხილად უნდა მოიქცეთ კომიტეტის არჩევის დროს. კომიტეტის წევრებად უნდა იირჩიოთ ჭკვიანი და ბიტოსანი კაცები. მაგრამ მარტო არჩევით არ უნდა გათავდეს საქმე. კომიტეტს და იმის მუშაობას თქვენ თითონ უნდა ადევნოთ თვალ-ყური, რამდენიმე თვის შემდეგ ანგარიში მოსთხოვოთ და გაარჩიოთ, სასეირონი არიან ისეთი კაცები ამისათვის თუ უსეიროონი. თუ კარგები არიან, ისევ იმათ იირჩევთ, თუ უსეიროონი—იმათ გამოსცვლით და სხვებს დანიშნავთ. ერთი სიტყვით, სუფალიერი თქვენ ხელში აქნებ და საქმეც ისე წავა, როგორც თქვენი სურვილი აქნებ.

მაგრამ გთქვათ, რომ რომელიმე სოფელში საქმე ცუდათ წავიდა და კომიტეტის უფროსმა ფული გაფლანგა. მერე რა? განა ამისთვის

რი უნდა ვსთქვათ ერთობაზე და ჩვენ კაშიერებზე? მდიდრების ბანკებს ხშირად ცარცავენ ხოლმე ბანკების უფროსები, მაგრამ მდიდრები ბანკებზე ხელს არ იღებენ და უფრო ამრავლებენ კიდეც.

ვთქვა რომელიმე წელიწადს სეტყვა მოვიდა და ნათესები გაგეფუჭდათ. განა თქვენ მეორე წელიწადს

ვიდა კავშირს, ისინი პატარა საქმეს გაბერავენ და სხვებსაც აიყოლებენ. ამიტომ ესლავე გეუბნებით, გლეხებო: გაფრთხილდით, არ მოსტყუვდეთ, არ აჰყვეთ თქვენ მტრებს და არ დაუჯეროთ იმათ ლაპარაკს, თორემ მერე თითონვე ინანებთ. საკუთარი თავით იფიქრეთ, საკუთარ სინიდისს უგდეთ ყური და მხოლოდ ჭკუასა და გონებას გაჰყევით და მალე დარწმუნდებით, რომ თქვენი უბედურების მოსასპობად და ხეირიან ცხოვრების შესაქმნელად საჭიროა მხოლოდ ერთი: ერთმანეთში ქიშპობის მოსპობა და გლეხთა კავშირის დაარსება.

მაშ ნუღარ ჰკარგავთ დროს, შეიკრიბეთ, მოილაპარაკეთ და გაბედულათ დაიწყეთ საქმე.

ერთობა და კავშირი — აი, მხოლოდ ეს დაგიხსნით უბედურებისაგან და გაჭირვებისაგან.

მეხი.

ახალი ციხე

(თარგმანი)

—:—

გამვლელი

ვხედავ, ძმობილო, შენ აქ რაღაცა
დიდსა შენობას აშენებ სწრაფად.
ნეტა რა არი? მაგის პატრონსა
არ დაუჯდება, მგონი, იაფად!

კალატოზი

შენ გამოიცან, სწორედ შეატყე,
აქ სამუშაო ბევრი იქნება,
ოხ, ბევრი ოფლი, ოფლი მუშისა
აქ დაიღვრება, აქ შთაინთქმება!
გაგეგონება, ჩვენ ღარიბს ხალხსა
რომ აღარ უნდა სხვისი მონობა,
გვეყო, რაც რომ ვიტანჯენითო
და სხვას მიჰქონდა ჩვენი ქონება!
ქალაქში მუშამ, სოფელში გლეხმა
მხარი მხარს მისცა, შეებნენ მტერსა,
ხედავს მთავრობა... მისი დამხობა
მალე იქნება... ხვალვე ან დღესა!
ჰო და ამიტომ იმანაც ერთი
ეხლა გამოსცა რაღაც „უკაზი“,
ამბობს: ვინც ჩემი ურჩი იქნება,
დაატყდებაო მას ჩემი ბრაზი!
ი, ეს შენობაც სწორეთ მისია...
იმისთვის არი გამოსადეგი.
ეს ციხე არი, ციხეს ვაშენებ,
ბევრს ხალხს ჩაამწყვდევს ტიალ-მუდრეგი!
ეს სამარეა ცოცხლებისათვის,
ამ კედლებს შიგნით ბევრი იკვნესებს.
აბა მტარვალი, მითხარი ერთი,
ჩვენთვის კარგს რასმე რათ დააწესებს!
სჩანს, ყველა ციხე სავსეა ხალხით
და დღეს მთავრობა ახალს აშენებს,
თვით არქიელი დაესწრო, როცა
მე შეუდექი ამის საძირკველს!.
ილოცა, დიდხანს იდგა მუხლებზე,
აკურთხა, როგორც წმინდა შენობა,
ასეთი არი, ძმაო, იმათი
სიყვარული და ქრისტიანობა!
ღმერთმანი შემრცხვა, გულში ვიფიქრე:
სად ღმერთი მეთქი და სად ჯალათი!
ეხ, ვიცი, ძმაო, რასაც ვაშენებ,
მაგრამ ვმუშაობ ძალათი!
ცოლშვილი.. პური.. ხოლო რამდენ ქვას
დავდებ კედელზე, გული მიკვდება.
ნუ, ნუ დამძრახავ, მაშენებინებს
ამ წყეულს ციხეს მე გაჭირვება!

გამვლელი

გულს ნუ გაიტეხ, ძმაო, ამითი,
ჩვენს მწუხარებას ბოლო ეღება,
მალე ამ ციხის დიდი კედელი
მტარვლების კვნესით ახმაურდება!
მალე ადგება მუშა თამამი,
აკანკალდება იმის წინ მტერი,
ციხე-კაზარმის და ბორკილების
დარჩება მხოლოდ ერთი-ღა მტვერი!
თავი ანებე მწუხარე ფიქრებს,
ხალხი ადგება მალე მტერზედა
და მაშინ სულ სხვა, სხვა სამუშაო
გექნება, ძმაო, ბრძოლის ველზედა!

კალატოზი

შენ მართალს ამბობ, მოთმინებისა
ფიალა უკვე გადმოიცალა.
მეც იმ წუთს ვუცდი, როდის გაშლის
ფრთებს
შეუდრეკელი ხალხისა ძალა!
დეე აქუხდეს... ჩვენ ერთათ წავალთ,
ყველანი ერთათ გამოვიღებთ ხელს,
და იქ ბრძოლაში, მტერთა ბრძოლაში
ჩვენ გავამეფებთ წმინდა სიმართლეს!

ა. [illegible]

გლეხების და მუშების წერილები

I.

ძმაო პეტრე, შენ მწერ, რომ ამდენი ხნის შეწუხების შემდეგ გლეხებმა ხმა ამოვიღეთ და ეს ხმა მალე საქმედ გადაიქცევაო. კი, ძმაო, ეს ასე იქნება უსათუოდ. ხალხმა შეიგნო თავისი დაჩაგრული მდგომარეობა და იცნო თავის სისხლის მწოველები. ეხლა მას ვერაფერი ბნელი ძალები ველარ შეიკავებენ და ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვებთ. ჩვენებურ ხუცესზე, მდიდრებზე და მემამულეებზე სწორედ ნამდვილს ლაპარაკობ. ეს ვაჟ-ბატონები როცა ხედავენ, რომ ჩვენ ერთად ვიბრძვით და შეერთებულის ძალით გვინდა მოვსპოთ საზიზღარი წესწყობილება, მაშინ ისინი ჩვენ გვეკედლებიან და გვეუბნებიან, ჩვენც თავისუფლების მომხრეები ვართო. მაგრამ როგორც დაინახავენ, რომ ჩვენი მოძრაობა ცოტათი შეფერხდა თოფებითა და ზარბაზნებით, ის ვაჟბატონები მაშინ მთავრობას ეკედლებიან, ჩვენ კი მარტო გვტოვებენ. მოღალატობაზე და ჯაშუშობაზე უსაზიზღრესი რაღაა ქვეყანაზე! კაცო, განა ტყვილა ჯდომით გასუქებული კაცი მიემხრობა გლეხების ერთობას? არა და არა. მე რამდენჯერ მინახავს, რომ, როცა საწყალ გლეხს ვინმე მოუკვდება, რაც უნდა ღარიბი იყოს, მღვდელი მაინც არ შეიბრალებს, სულს ამოართმევს და მაინც წააგლეჯს ფულს მკვდრის გასაძღოლს, საწირავს და რაღაც სხვა თვალთ-მაქცობისათვის. არა, ჩემო პეტრე, ხალხის ყვლეფას და მუქთახორობას ნაჩვევი კაცი გლეხის მომხრე არ არის და ნურც ენდობით ამისთანა ხალხს.

მდიდრები? თავი დამანებე, თუ ძმა ხარ! მდიდარი კაცი ამოუდგება მხარეში ბრძოლის დროს გლეხს? — გლეხს უადგილოს, უსახლკაროს, ყველასაგან მოტყუებულს და გაქურდულს? მდიდრებსაც უნდათ თავისუფლება, მაგრამ ისინი სხვანაირ თავისუფლებაზე გაიძლერიან, იმ თავისუფლებაზე, რომელიც მათ კიდევ უფრო გაამდიდრებს და მათ ცხოვრებას კიდევ უფრო მეტ სიამოვნებას მიჰგვრის. აი, არ ენდოთ იმათ.

ჩვენთან, ძმაო სხვა წოდების ხალხი საერთოს არაფერს იქონიებს, გარდა იმისა, რომ ჩვენ ეხლანდელზე უარესად დაგვიმონავონ. არა, ძმაო, მე მათი არა მწამს რა. ჩვენ ჩვენი საკუთარი ძალ-ღონე მხოლოდ გაგვამარჯვებს. სხვისი იმედი არ იქონიო.

შენი მოძმე საყანჩიელი

—:—

II. ვინ არის გლეხი?

გლეხი არის ის ადამიანი, რომელიც გათენებიდგან დაღამებამდის მუშაობს, წელებზე ფეხს იდგამს და თავის სისხლითა და ოფლით რწყავს მიწას. მისთვის არ არის არც მოსვენება, სიგრილე და არც სხვა რამე სიამოვნება. გათენდება თუ არა, უნდა ადგეს, წელზე შემოიკრას ცივი მჭადი და წავიდეს სამუშაოდ. სიცხე იქნება თუ სიცივე — სულ ერთია — მაინც უნდა იმუშაოს დაღამებამდის. მაგრამ რას ღებულობს ის სამაგიეროს? ასეთი შრომის ჯილდოთ დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებისაგან მინიჭებული აქვს მხოლოდ შიმშილი, სიტიტვლე, ტანჯვა-წამება და სხვა არაფერი.

ასეთ მდგომარეობაშივე არიან ქალაქის მუშები — პროლეტარები (ბოგანოები). ვინ არიან პროლეტარები? იგივე გლეხები. ეს მუშები გლეხებისგან განირჩევიან მხოლოთ იმითი, რომ არ ცხოვრობენ სოფელში და ესეც იმიტომ, რომ ცხოვრების უკუღმართობის გამო არა აქვთ სოფელში მიწა, რომ დაამუშაონ და თავი გამოიკვებონ. აი სწორედ ამიტომ ასეთი გლეხი ამბობს: ცხოვრება ასე უკუღმართათ არის მოწყობილი, წავალ ქალაქში, იქნება სამუშაო ვიშოვო სადმე და სიკვდილს თავი დავახწიო. მართლაც მიდის ქალაქში და გადის ბაზარზე; გასაქირავებლათ. ამ დროს მოდის მექარხნე ან სხვა ვინმე კაპიტალისტი, შეევაჭრება მუშას, საკუთარ ჯან-ღონეში გაურიგდება და წაიყვანს. დააყენებს სამუშაოთ სადღაც, ნესტიან სარდაფში, ამუშავებს თორმეტ-თოთხმეტ საათს და შრომის ფასად აძლევს მხოლოდ იმდენს, რომ შიმშილით არ მოკვდეს. დანარჩენს იმის შრომის ნაყოფს კი თვითონ ისაკუთრებს. ჩვენ ეხლა ნათლათ ვხედავთ, რომ გლეხები და მუშები ერთი და იგივე ყოფილან.

ეხლა ცოტა ზევიდგან დავიწყოთ და უფრო ნათლათ გავარკვიოთ გლეხების და მუშების მდგომარეობა. მთელ დედამიწის ზურგზე საზოგადოება განიყოფება ორ კლასათ, ორ ბანაკათ: ერთ ნაწილს შეადგენს ბურჟუაზია, მეორეს კი მშრომელი ხალხი. პირველი ნაწილს შეადგენენ მძარცველები, მეორეს კი — გაცარცულები, პირველს შეადგენენ

მზაგვრელები, მეორეს კი — დაჩაგრულები და დამონებულები, პირველს შეადგენენ მუდლეფელები, მეორეს კი — გაუკლეფელები. მუდლეფელები გაცილებით ნაკლები არიან გაუკლეფელებზე, მაგრამ წეს-წეობილების უკუდმართობის გამო უმრავლესობა დამონებულია უმცირესობისაგან. სწორეთ ამიტომ საზოგადოება გაუოფილია ორ მოპირდაპირე ბანაკად.

უკუდმართმა ცხოვრებამ ამ მშრომელებსა და მშიერებს არგუნა მუდამ მუშობა, სისხლის და ოფლის ღვრა და მუდამ შიმშილი. თავიანთ სიცოცხლეში ესენი ბედნიერად ვერც ერთ წუთს ვერ ატარებენ. ავადმყოფობა მათი მუდმივი სტუმარია. ესენი არიან სულ მუდამ მშიერნი, სულ მუდამ შიშველ-ტიტველნი და მწუურვალნი. ამათ თავზე დანავარდობენ უველა ჯურის სულთა მხუთავები: მემამულეები, მექარხნეები, ვაჭრები, მდიდლები, ჩარჩები, და მთავრობა — მინისტრები, გენერალ-გუბერნატორნი, გუბერნატორები, მაზრის უფროსები, ბოქაულები, კაზაკები, სტრაჟნიკები და ავაზაკი სულიგანებიც კი.

ბურჟუაზიას შეადგენენ მეფაბრიკეები, ვაჭრები, სასულიერო წოდება, ჩარჩები, ჩინოვნიკები და სხვა ათასი ჯურის მუქთახორა. აი ეს ვაუბატონები შრომის მაგივრად მუდამ განცხრომაში, ფუფუნებაში და ათასნაირ გარეგნობებში ატარებენ დროს. გლეხები და მუშები შრომით ისოცებიან მშიერები არიან. ეს ვაუბატონები კი მხართეზზე წამოწოლილან, ხელებსაც არ აძრეგენ, მაგრამ ოქრო-ვერცხლით მორთულ სასასლეებში სცხოვრობენ. თუ სადმე სამართალია, ამნაირად ის უნდა ცხოვრობდეს, ვინც შრომობს, ვინც ოფლსა ღვრის. ვინც არაფერს არ აკეთებს, იმას არც არაფერი უნდა ეკუთვნოდეს. ამას მოითხოვს სამართალი. ვინც დღე და ღამეს ასწორებს და მუშობაში სულს ირთმევს, სწორეთ ის არის ჩაგრდნილი ჭირსა და მწუხარებაში, სწორედ ესეთ სალხს ეუფლებს სხვადასხვა ავადმყოფობა. ისინი კი, ვინც არას აკეთებენ, იმათთვის არც ჭირია და არც მწუხარება. ზოგი იტყვის, რა ვუყოთ, ასეთია ღვთის სამართალი, შეგრამ ბევრი ერთი ვნახოთ, სად არის აქ ან ღმერთის ან ადამიანის სამართალი. გლესი კაცის შვილი დედამიწას ასტოლდება თუ არა, უნდა შეებას რკინის უღელში. მისთვის არ არის არც ძილი, არც მოსვენება, არც სასწავლებელი და არც სხვა რამე. ხელში სიხრე უნდა აიღო და უნდა უმწეემსო ან ბატებს, ან ცხვარს და ან ხარ კამეხს. ოჯახში სარჩენი ბევრი ჰყავს, მაგრამ იმის მაგა ვერ ასდის ეველაფერს. ამის გარდა, ბევრი გადასახადი აქვს შესატანი ხაზინაში და შემოსავალი კი არაფერი აქვს. რა ქნას საწყალმა! თავისი შვილი უნდა მოაშორონ საუკარელ სამშობლოს. მაჭეავს სადაც ქალაქში, რომ ორიოდე გროში აშოვნინონ. მაიუვანს ვინმე მექარხნესთან, და გაურიგდება დღეში ანაზღაურ, ან ექვს შაურად. ასაგაზდა მუშავ, შენ აქ დახუოულ ჭერში და ნესტიან შენობაში გამუშავებენ ათ-თორმეტ საათს. ერთხელაც იქნება და „ხაზეინი“ ქარხნიდგან გაგაგდებს, რადგან არ მოუწონა შენი მუშობა, ან შენ თავითონვე არ მოსწონხარ. ესლა იძულებული ხარ წახვიდე სხვა მექარხნესთან, ან სოფელში. მიდიხარ სხვა მექარხნესთან და ეუბნები, სამუშაო მომეცეო. ის გიბასუხებს, მე მუშები ბევრი მყავს და ესენიც უნდა დავითხოვოთო. ის გიბასუხებს, თუ დადგები ბავშვის თვასა — იყავი, რადგანაც ბავშვსაც შეუძლიან ჩემ მაშინებზე მუშაობაო. მიდიხარ კიდევ სხვასთან და სთხოვ ადგილს, მაგრამ იქაც გეუბნებიან, ახლეარო რომ იყო, შენი „ხაზეინი“ არ დაგითხოვდაო. ესლა იძულებული ხარ ორში ერთი აირჩიო: ბავშვის თვასად მუშაობა, ან სოფელში წასვლა. ვთქვათ, წასვედი სოფელში. საკუთარი მიწა არა გაქვს, მიხვალ მემამულესთან და ეტყვი: ბატონო, მიქენი სიკეთე, მომეცი მიწაო. ის გეუბნება: კარგი, მიწას მოგცემ, მაგრამ, ნასევარი მოელი მოსავალისა მე უნდა მომეცეო. რას იზამ! შეტი გზა არა გაქვს და შენც ეთანხმები. გავიდა რამდენიმე ხანი. ამასობაში შენც მოგბეზრდება შენი ნამუშავარის სხვისთვის ხიდვა და ეტყვი: ბატონო, მიწა უფრო შედავათიანი პირობით მომეცეო. მაშინ მემამულე მისწერავს ბოქაულს: ესა და ეს კაცი „ბუნტოვჩიკია-“ო. ბოქაული გამოგზავნის სულთა მხუთავებს და გიერავენ თავს შორს, სადაც ცივ ქვეყანაში, ან ნესტიან ტიესში ამოგაგდებენ. ასეთია შენი ცხოვრება, დაჩაგრულო სალხო.

ი. ვ.

ᲒᲚᲔᲮᲘ

როდესაც წამოიქუხებს
ქალაქად, მთად და ბარადი;
ცის გადეკვრება ღრუბელი,

მოსქდება სისხლი ღვარადა, —
მზათ იყავ, გლეხო, იმ დღისთვის,
შორს სტყორცნე სევდა გულისა, —
დაჰკა მტერს, დაჰკა, რომ ნახო
შენც სხივი გაზაფხულისა!

—

იცოდე, შენ ხარ დიდება
ამ უკუღმართი სოფლისა,
შენა და მუშა ქალაქის, —
შენთანვე მღვრელი ოფლისა!
უთქვენოთ მთელი ქვეყანა
შიმშილით ამოწყდებოდა;
ვერც ერთი მუქთა-მჭამელი
ასე ვერ გასუქდებოდა!

—

მითხარი, შენ ვინ გიბრალებს,
რომ შენ სხვა გებრალებოდეს?
მუქთად წყალს არვინ მოგაწვდის,
წყურვილით სულიც გხდებოდეს.
სუყველა შენით სულს ითქვამს,
მდიდარნი შენით ძღებიან;
ლუკმას შენ აწვდი იმ სვავებს
და მაინც გემდურებიან!..

—

არა, როს წამოიქუხებს
ქალაქად, მთად და ბარადა;
ცას გადაეკვრის ღრუბელი,
მოსქდება სისხლი ღვარადა, —
მზათ იყავ, გლეხო, იმ დღისთვის,
შორს სტყორცნე სევდა გულისა, —
დაჰკა მტერს, დაჰკა, რომ ნახო
შენც სხივი გაზაფხულისა!

Თ. ᲐᲡᲗᲐᲮᲘᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲖᲔᲛᲝ-ᲥᲐᲠᲗᲚᲘ

უპირველესი მიზეზი, რომელმაც შეარყია და ჩააბა აქაური გლეხი განმათავისუფლებელ მოძრაობის ფერხულში, არის მიწის სიმცირე. მიწაზე ფიქრობს იგი მუშაობის დროს, მიწა უდგას თვალწინ მოსვენებისას და მიწა აქვს წარმოდგენილი თავის მომავლის საგნად იმ დღიდან, რაც განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო. გლეხმა ცხადად დაინახა, რომ მას უფლება აქვს ჰქონდეს საკმაო მიწა, ხოლო როგორ და რა გზით ჩაიგდოს იგი ხელში, ეს მისთვის გამოურკვეველია. დღემდე ბევრი დარწმუნებული იყო, რომ მთავრობა მემამულეებისაგან მიწებს გამოიყიდდა და გლეხებს დაურიგებდა, მაგრამ დღეს ეს არავის არ სჯერა.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ

„მიწა მიწის მუშასაო“, — გაიძახიან ყველგან და კახეთიც ბანს აძლევს ამ ღვთიურ სიტყვებს. პირველად, როცა გლეხთა მოძრაობა დაიწყო კახეთში, გლეხები გაიძახოდნენ, ყველანი ერთნაირები, თანასწორი დედის შობილა დავბადებულვართ, ამოდენა დედულ-მამული: სახნავი მიწები, ტყეები და ზვრები თან არავის დაჰყოლია და ეს ღვთის გაჩენილი სიმდიდრე გვეკუთვნის ღვთის შვილებს და არა რომელიმე კერძო პირებსაო. როგორც ჰაერი და წყალი არ გაიყიდება, ისე კიდევ დედამიწა. მინდვრები არავის შეუქმნია და ტყეები არ აუშენებია, რომ იძახიან, ეს ჩვენი საკუთრება არისო და მთავრობაც კვერს უკრავს.

ვინც რა უნდა თქვას, როგორც უნდათ იფიქრონ, მაგრამ ის დრო წავიდა, როცა დიდ ბატონების და პატარა ტყის მცველების ნებადაურთველად ტყეში ვერავინ შესულიყო, ერთი კონა ფიჩხისთვის პურის გამოსაცხობად. წარსულ ზაფხულს თავისუფლად შევიდა ხალხი ტყეში და იმდენი გამოიტანეს, რამდენიც უნდოდათ.

მართალია, ჩვენ სიმართლეს ვემსახურებით, არავის მხარე არ უნდა დავიჭიროთ, მაგრამ ჩვენც მოგვივა შეცდომა და უნდა გამოვტყდეთ, რომ ბევრმა ჩვენგანმა გადააჭარბა ტყის მოჭრაში. იმედია, მერე აღარ განმეორდება ეს შეცდომა.

წავიდა ის დრო, როცა მიწის დამუშავებაში მიწის პატრონ მებატონეს მოსავლის ნათხალი მოჰქონდა და ამას გარდა ქრთამსაც თხოულობდა. შარშან ხომ ბევრმა ვერ მიიღო ნათხალი და მგონი წელსაც ასე იქნება. გლეხებმა გადასწყვიტეს მიწის ქირად მეათედის მიცემა. ჯერ არ ვიცით მემამულენი რას ფიქრობენ, შარშანდელივით ყაზახ-რუსებს მიუსევენ და ეკზეკუციას ჩაუყენებენ, თუ მოერიდებიან ასეთ საქმეს, რადგან შარშან ყველამ კარგათ დაინახა, რომ ყაზახებმა ვერაფერი უშველეს,

ირ-იქით, მტრობა და შური დათესეს და ამით
ავადიშვილები ისე შეწუხდნენ, რომ თვითთ-
ვე სთხოვეს ეკზეკუციის ახსნა.

ლალის მიცემის დროც დადგა და როგორ
ოველის ეს საქმე კახეთში, ამასაც მალე და-
ინახავთ.

კახელი გლეხი.

ქიზიყი

14 ივლისს მოკლეს სოფ. ჯუგაანის მამა-
ახლისი გიგა ალადაშვილი. მკვლელი მიიმა-
ლა. ამბობენ, მამასახლისი იმიტომ მოკლეს,
რომ ჯაშუში იყოო. რამდენჯერმე მიუგზავნიათ
ასთან ამორჩეულები გასაფრთხილებლათ —
ამოგვეცალე, ნუ გვიშლი ხელს, ნუ გვაბეზ-
ებ, თორემ წუთი სოფელს გამოგასალმებთო.
ოგრ[illegible] როგორცა სჩანს, იმას თავისი ხელო-
ა არ მოუშლია და აკი გამოასალმეს კი-
�ეც წუთი სოფელს. ხუთი ძმა ზედელაშვი-
ლები დღემდის იმის წყალობითა სხედან სა-
ტუსალოში.

სოფ. ჭოტორის კალოებზე ვიღაცეებმა
ლეს ჯანგულაშვილს გადაუწვეს საბძელი
ა სარჩო საბადებელი. საქმე ასე ყოფილა
ურმე: როდესაც ჯანგულაშვილს მკა გაუ-
ავებია და ძნები სრულიად ამოუტანია ჭო-
ორის კალოებზე (ამბობენ 225 ათეული
ყოო) და დაუწყვია საბძელში, საღამოთი ვი-
�ეა [illegible]ცნობი შეპარულა საბძელში, შიგ შუ-
[illegible] ძნებში ჩაუსხავს ნავთი, მიუცია ცეცხ-
ლი და მიმალულა.

ხმა დადის, იმიტომ გადაუწვეს ჯანგულა-
შვილს სარჩო-საბადებელი, რომ მან თავადი-
შვილების მამული აიღო იჯარით და იმის წყა-
ლობით სოფელი დარჩა უმამულოოო. თურმე
სოფელს უნდოდა ეს მამულები, ეხვეწებოდა
ოდეც, მაგრამ რეაქციის იმედებით გამხნევე-
ულმა ჯანგულაშვილმა არამც თუ არ შეიწ-
ნარა თხოვნა გლეხებისა, პირიქით, ორჯერ
ეტი მისცა მემამულეს და დაიტოვა ბუერთი
ა მოედანი.

20 ივლის, საღამო ჟამზე რევოლვერით მო-
ლეს ბ. ყორღანოვის ნოქარი გეურქა ფარსა-
ანოვი. მკვლელი მიიმალა. მიზეზი, როგორც
ამბობენ, ჯაშუშობა და მოღალატობა იყო
ოქართა გაფიცვის დროს, რომელიც აქ მოხდა
ამ ორი კვირის წინად. რამდენჯერმე გაუფ-
თხილებიათ თურმე, ნუ გვღალატობ, ჯაშუ-
შობას თავი დაანებეო, მაგრამ, როგორც ამ-
ბობენ, ის ყველას მასხარად იგდებდა და არა-
ფერს ერიდებოდა.

21 ივლის გაცარცვეს სიღნაღის ფოსტა ქ.
ტფილისიდგან სიღნაღში მიმავალი. მოჰკლეს
ფოსტალიონი, ერთი „სტრაჟნიკი“ ლოლა-
ძე და ორიც დასჭრეს. სოფ. ყანდაურში
დღესვე ჩააყენეს დრაგუნები ეკზეკუციად.
ფულად წაუღიათ სამი ათასი ხუთასი მანეთი
და სხვა ქალალდები.

—

მიწის საკითხი ქიზიყში სრულიად არ არის
მოწესრიგებული. ამის გამო ხშირია უსიამოვ-
ნება გლეხებში, განსაკუთრებით ასეთი საკით-
ხი გამწვავებულია ქიზიყის თერთმეტ სოფლის
საზოგადოებაში, რომლებიც ძლიერ გამოუ-
რკვეველ მდგომარეობაში არიან და დღესაც არ
იციან თავიანთი ადგილების რაოდენობა. ამ
საქმის გამოსარკვევად ამ ბოლო დროს კავკა-
სიის უმაღლეს მთავრობასაც მიუქცევია ყუ-
რადღება და, სხვათა შორის, ამას წინად
მოწვეულ სხდომაზე ერთ დიდ მოხელეს
უთქვამს: „ერთად ერთი მწვავე გარდასაწყეტ-
ი საკითხი მთელ ტფილისის გუბერნიაშიო
არის მიწების მოწესრიგების საქმე ქიზი-
ყის სოფლებშიო“. ეხლა როგორც ნამდვილ
ცნობებიდგან შევიტყვე, ეს საკითხი ამ ნაირა-
დაა დაყენებული მთავრობის კანცელარიებ-
ში: 1892 წლებიდგან ამ სოფლის გლეხთა
შორის უთანხმოება იზდებოდა. ამ ხნის განმა-
ვლობაში მთავრობა გზავნიდა ადგილობრივ
მიწის მზომლებს და მოხელეებს, რომლებიც
დროებით ამყარებდენ მშვიდობიანობას საბო-
ლოოდ საქმის გათავება კი დღემდის ფიქრა-
დაც არავის მოსვლია. მაგრამ ამ უკანას-
კნელ წლებში დიდი არეულობა გამოუწვევია
ამ საქმეს გლეხებში. საქმე იქამდის მისულა,
რომ შეტაკება მომხდარა და რამდენიმე გლე-
ხი და პოლიციელი უმსხვერპლია ამ შეტაკე-
ბას. ჯარიც ჩარეულა საქმეში მშვიდობიანო-
ბის აღსადგენათ და გლეხებიც დროებით მი-
ჩუმებულან. ყველა ამისთანა უსიამოვნო ამ-
ბები მომხდარა ისევ მთავრობის მოხელეების
დაუდევრობით; საზოგადოდ მთელ ამიერ კავ-
კასიაში და ქიზიყის სოფლებშიც არაა გამორ-

კვეული მიწების რაოდენობა, არაა პლანებზე გადალებული სახელმწიფო და კერძო მემამულეთა სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები. ყველა ამას მოყვა სახელმწიფო და საერობო გარდასახადების უსამართლოდ გაწერა გლეხებზე. ამას ისინი უფრო მეტად გაუბრაზებია და საქმეც უარესად გამწვავებულა. რომ მშვიდობიანად გათავებულაყო ეს საქმე, 1905 წლის განმავლობაში იქაურმა მომრიგებელმა შუამავალმა თავადმა ჯორჯაძემ სოფლების არჩეული დეპუტატები ჩამოიყვანა ორჯერ ნამესტნიკთან. დეპუტატებმა პირადად აუხსნეს ნამესტნიკს ქიზიყელების გაჭირვებული მდგომარეობა და დახმარება სთხოვეს. ამის შემდეგ ნამესტნიკის ბრძანებით შესდგა კომისია ქიზიყის მოხელეებისგან, მაგრამ კომისიამაც ვერა გააწყო რა. ამის შემდეგ ისევ შუამავალმა ჯორჯაძემ გუბერნატორის თხოვნით შეჰკრიბა დაწვრილებით სტატისტიკური ცნობები ქიზიყის გლეხების შესახებ და ვრცელი მოხსენება წარუდგინა უმაღლეს მთავრობას. რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ეს საქმე უფრო გამწვავდებოდა, ამიტომ ამ ერთი თვის წინად მთავრობამ გადაწყვიტა გაგზავნოს სოფლებში მიწების მომაწესრიგებელი კომისია, რომელიც უნდა შესდგეს მიწის მზომლებისა და ტეხნიკოსებისგან. ამათ დაწვრილებით და სისწორით უნდა გაზომონ სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები ქიზიყის სოფლებისა, რომ შემდეგ მიწების რაოდენობით იქმნას გაწერილი გლეხებზე ყოველნაირი სახელმწიფო გარდასახადი.

ᲒᲣᲠᲘᲐ

24 ივლისი. ერთი კვირა იქნება, რაც ოზურგეთის ნოქრები და სამიკიტნო-რესტორანების მოსამსახურენი გაიფიცენ. სანამ გაიფიცებოდენ, თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს ვაჭრებს. თხოულობდენ: კვირაობით სრულ დასვენებას, საჭმლის და ბინის გაუმჯობესებას, დუქნების დილით 6 საათზე გაღებას და საღამოს 7 საათზე დაკეტას, ნოქრების მიღება და დათხოვნა თვით ნოქრების საქმე იყოს, სამიკიტნო და რესტორანი კვირაობით მხოლოდ მორიგეობით თითო-თითო იღებოდეს და სხ. ვაჭრებმა არ დააკმაყოფილეს ნოქრები.

ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ

8 ივლისს გაიფიცა ადგილობრივ საა[illegible] ქარხნის 50 მუშამდე. წარადგინეს შემდ[illegible] მოთხოვნილებანი:

9 საათის სამუშაო დღე; ნარდათ მუ[illegible] ბა და თვიურად მუშის დაქირავება ამიერ[illegible] მოსპობილ იქმნას; მუშები უნდა დაქირავებ[illegible] იქნან დღიურად; ქირა: ტალახის მომ[illegible] დღეში 1 მ. 20 კაპ., აგურის მომჭრელ[illegible] მ. 40 კაპ., ქარხანაში ჩამწყობს და ამ[illegible] წყობს 1 მ. 20 კაპ., და გამომწვავს [illegible] ღამეში 2 მ. 40 კაპ.; მუშების მიღება [illegible] დათხოვნა მუშების საქმე უნდა იყოს და [illegible]

11 ივლისს საქარის სანერგის მუშები [illegible] ვიდენ სამუშაოდ. მუშები დაუკმაყოფილ[illegible] ბიათ.

ᲖᲐᲜᲐᲗᲘ (სამეგრელო).

ამას წინად გვეწვივნენ დრაგუნები (ᲡᲐ[illegible] ნოსანი სალდათები) და კაზაკები თავ[illegible] უფროსებით. სტუმრები დაბინავდენ [illegible] ძაძამიას სახლში, მოითხოვეს წითელი [illegible] ზმელები, ასის თავები და ათასის თ[illegible] დაასახელეს კიდეც ალექსი ძაძამია, [illegible] რიმა ქანდარია, კოლია გუნია და შმაგი [illegible] ბალავა. ჯარის უფროსმა უბრძანა მამ[illegible] ლისს, დაუყოვნებლივ შეეკრიბა საზოგ[illegible] ება. შეკრებილ ხალხს ჯარის უფრ[illegible] უბრძანა, 24 საათის განმავლობაში წ[illegible] დგინეთ წითელი რაზმელები, წინააღმდ[illegible] თხვევაში დაწვა-აწიოკება არ აგცილდებ[illegible] ამავე დღეს ჯაშუშების დასმენით დაიჭ[illegible] ოთხი კაცი: დავითი და პეტრე გუნიები, [illegible] კურა ქანდარია და პახვალა ქობულავა. ეს[illegible] აბაშის სატუსაღოში დაატუსაღეს. შვიდის დ[illegible] შემდეგ გაანთავისუფლეს.

ᲡᲝᲤ. ᲛᲐᲜᲓᲘᲙᲝᲠᲘ (ქუთაისის მაზრა)

დადგა თუ არა რეაქცია, ჩვენმა მამასახ[illegible] სებმაც გამოჰყვეს თავი, გადაიკიდეს თავ[illegible] ჯაკვები, რომლებსაც ასე გულმოდგინედ მ[illegible] დენ დღემდის სახლში შიშით, და ხელი [illegible] ყვეს თავიანთ სამარცხვინო საქმეს. ველ[illegible] სენებთ მათთან ვერც ხალხს, ვერც ახალ[illegible] ობას და ვერც თავისუფლებას. „ხალხი ვ[illegible] — გაიძახიან ეს ვაჟბატონები, — ხალხი [illegible] ჯოგია, მას უფროსი ეჭირვება და ეს უფ[illegible] აქ ჩვენა ვართ და მერე „პრისტავი", „ვ[illegible]

ლიკი“ და სხვანიო. დიაღ, ისევ ძველებურად გაითარეშეს ამ ვაჟბატონებმა. ამ დღეში ჩვენს სოფელში მამასახლისმა ბაკურაძემ ერთ გლეხს — კუბლაშვილს სახელმწიფო გადასახადებში გაუყიდა ოთხი თოხი, ორი ცული, ერთი სპილენძის ქვაბი, სპილენძის ტაშტი და ერთი ხერხი. ამ ვაჟბატონმა ნარბევის გაყიდვა ახლო-მახლო სოფლებში რომ ვერ მოახერხა, სადღაც სხვაგან გაასალა საცოდავი გლეხის ავლა დიდება.

„ბრძანებას ვასრულებთო“, — გაიმართლებენ თავს ეს ვაჟბატონი და ძმანი მისნი ლ ალარ დაგიდევენ, რომ არის ისეთი ბრძანებაც, რომელის აუსრულობა უფრო სამართლიანია, ვიდრე მისი ასრულება.

გოდოგნელი მუშა.

მკვლელობა

ცხინვალში მოუკლავთ ორი შეძლებული კაცი: ვასილ შერმაზანოვი და ისაკა მელიქოვი და მძიმედ დაუჭრიათ მიხეილ ყულიჯანოვი. სამივესთვის რევოლვერი უსროლიათ რამდენჯერმე.

რუსეთი

გლეხების მოძრაობა

ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲢᲡᲠᲔᲑᲐ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲗᲕᲘᲗ ᲑᲝᲚᲨᲘᲪᲘᲐ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲡᲔᲚᲡ. ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲒᲐᲪᲝᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲑᲝᲚᲨᲘᲪᲘᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲗᲝᲛᲘᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲘᲣᲕᲐᲜᲐ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲐ-ᲓᲐᲒᲕᲐ ᲓᲐᲐᲬᲧᲔᲑᲘᲜᲐ. ᲡᲚᲝᲜᲘᲛᲡᲙᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲣᲚ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲮᲚᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲖᲔ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲜᲓᲐ. ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲣᲑᲠᲐᲚᲓ ᲒᲐᲤᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲐ. ᲑᲝᲚᲨᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲔᲛᲐ ᲖᲝᲛᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲒᲚᲐᲓᲐᲪ ᲡᲘᲠᲐᲓ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲣᲚᲝ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲜᲘ ᲐᲐᲓᲔᲚᲕᲐ და ᲑᲘᲠᲓᲐᲑᲘᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔ. ᲔᲮᲚᲐ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲧᲔᲔᲑᲡ ᲭᲙᲐᲤᲕᲔᲜ, ᲫᲜᲐᲡ ᲡᲬᲕᲐᲕᲔᲜ და ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡ ᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲔᲜ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲣᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲨᲕᲔᲚᲐ: ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წ. ᲮᲗᲝᲗᲑᲘᲠᲗᲡ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲛ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲣᲚᲐ. ᲗᲕᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲝᲗ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲡᲔᲚᲡ. ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲒᲐᲪᲝᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲑᲝᲚᲨᲘᲪᲘᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲗᲝᲛᲘᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲘᲣᲕᲐᲜᲐ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲐ-ᲓᲐᲒᲕᲐ ᲓᲐᲐᲬᲧᲔᲑᲘᲜᲐ. ᲡᲚᲝᲜᲘᲛᲡᲙᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲣᲚ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲮᲚᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲖᲔ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲜᲓᲐ. ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲣᲑᲠᲐᲚᲓ ᲒᲐᲤᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲐ. ᲑᲝᲚᲨᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲔᲛᲐ ᲖᲝᲛᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲒᲚᲐᲓᲐᲪ ᲡᲘᲠᲐᲓ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲣᲚᲝ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲜᲘ ᲐᲐᲓᲔᲚᲕᲐ და ᲑᲘᲠᲓᲐᲑᲘᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔ. ᲔᲮᲚᲐ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲧᲔᲔᲑᲡ ᲭᲙᲐᲤᲕᲔᲜ, ᲫᲜᲐᲡ ᲡᲬᲕᲐᲕᲔᲜ და ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡ ᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲔᲜ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲣᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲨᲕᲔᲚᲐ: ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წ. ᲮᲗᲝᲗᲑᲘᲠᲗᲡ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲛ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲣᲚᲐ. ᲗᲕᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲝᲗ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲡᲔᲚᲡ. ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ

დაქირავებას დრის მექირნე მხოლოდ ამის ფაქრობს, რომ მუშა დახიარა და მარჯვე იყოს. მას სჭირდა სამუშაო ძალა, და მას ეადგილობს. მაგრამ ახლა ვეკითხოთ, რამდენს ანდას მექირნე თუ შემამულე მუშის ძალაში? საზოგადოთ ჩვენ ვიცით უკვე, თუ რა დარს მაგალითად სტაქანი, კალთა, სტოლი, ჩექმა. ეოველი საქონელი დარს ამდენი, რამდენი შრომაც არის გაწეული მის მოსამზადებლად. ვსთქვათ, რომ სტაქანის გაკეთებას მოუნდა ნახევარი საათი დრო, სტოლის გაკეთებას 10 საათი, ჩექმების შეკერას—30 ს. ვსთქვათ ისიც, რომ ჩვენში ერთი საათის მუშაობა დარს 10 კაპ. ახლა ადვილი გამოსანგარიშებელია, თუ რა დარს სტაქანი. სტაქნის გაკეთებას მოუნდა ნახევარი საათი, მაშ ის დარს 5 კაპ. სტოლის გაკეთებას მოუნდა 10 ს., მაშ ის დარს 1 მან. და რაკი ჩექმის შეკერას დასჭირდა 30 საათი, ჩექმა ედარება 3 მან.

მაგრამ როგორ უნდა გამოვანგარიშოთ, თუ რა დარს ადამიანის შრომა, ძალა? ვსთქვათ რომ მუშის ძალა ვიეადეთ ერთის დღით და მუშამ რომ თავისი თავი არჩინოს, იცხოვროს და იმუშაოს, მას სჭირდა დღეში ხარჯად 60 კაპ. (საჭმელი, ტანისაცმელი, ბინა და სხ.), რომ გაწეული ძალა ისევ უკან დაიბრუნოს. აშკარაა, რომ მუშის ძალა დღეში დარს 60 კაპ. მუშისთვის, მის შესანახად საჭიროა 6 საათის მუშაობა (საათის მუშაობა ხომ 10 კაპ. დარს).

მეფაბრიკემ კარგად იცის, რომ საამუშაო ძალა დარს 6 საათის მუშაობა, იმდენი, რამდენიც დარს 12 სტაქანი და ამიტომ აძლევს მუშას მის ძალაში იმდენს, რამდენიც დარს 60 კაპეიკანი საქონელი. მაშასადამე მუშა დებულობს თავის საამუშაო ძალის ფასად იმდენს, რამდენიც საჭიროა იმისთვის, რომ შიმშილით არ მოკვდეს.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს: რატომ ეადგილობს მექირნე, მეფაბრიკე ან მემამულე მუშის ძალას? თუ რისთვის ეადის მუშა თავის ძალას, ეს ცხადია: გაჭირვებულია, შიმშილი აწუხებს, შიმშილზე უარესი კი არაფერი არ დადამიწაზე.

მაშ რატომ ეადგილობს მექირნე მუშის ძალას? თავის შესაქცევად? არა. მაშ რისთვის? იმისთვის, რომ ფული მოიგოს.

ავიღოთ საქმის გასაგებობით მაგალითი. ვთქვათ, რომ ვინმე შეძლებულმა კაცმა გახსნა ბამბის საქარავი (ფაბრიკა). ეადა 1400 მან. ბა, მანქანაში გადიხადა 80 მან., 24 მან. დახარჯა სხვა და სხვა მოწყობილობაში და ეო მუშაობა. როგორ გგონიათ, რისთვის მეფაბრიკემ ეს ფაბრიკა? უეჭველია იმისთვის, რომ ნარჩენი (ფასტავი) გაეადოს ეფრო ფასად, ვიდრე მას ედარს ბამბა, მანქანა სხვა მოწყობილობა. ამ ნარჩენს არ 1504 მან., რაც გადუხდია ოვეთონ (ბამბა 1400 მანქანა 80, სხვა — 24 მან.), არამედ ხოს მეტს, ვსთქვათ 2000 მან. მაგრამ ვა ადვილია. საქმე ისაა, მისტემენ ამდენ ასეთი ფასწაული რომ მოხდეს, მანქანამ თავის თავად იმუშაოს და ადარ დასჭირდეს ხელი, მაშინ მეფაბრიკემ რომ მიუტანოს ჭარს ძაფი და 2000 მან. მოსთხოვოს, ეტევის მეფაბრიკეს: შენ ძაფში 1400 ბა, 80 მან. მანქანა და 24 მან. კიდევ ხარჯი, სულ 1504 მან. და მეტს არ მ ტემ შენს ძაფში. მეტი არ დარს.

არა ვიცით, მოეწონებოდა თუ არ მ კეს ასეთი ფასუხი. ვიცით მხოლოდ ის, რ ნქანას ჯერჯერობით თავისთავად მუშაობა უ ეადა; მეფაბრიკის საუბედუროდ მანქანას რა მუშა, ისე მანქანა ვერ იმუშავებს. ეს ესმის მეფაბრიკეს და ამიტომ ქირაობს ვთქვათ, დაქირავა 100 მუშა, თითო ბა ზად. მუშა, რომელიც დებულობს დღ ფასად. ბამბას, ნარჩენს, ასრულებს ს ოს, მუშაობს, ეწევა შრომას ძაფის (დასასტავად).

ბერგელ საათის მუშაობის შემდეგ მუშ ხარჯა ერთი საათის შრომა ანუ მიუმატ ფასს 10 კაპ. (თუ საათი მუშაობა დარს 10 მეორე საათის შემდეგ დახარჯა 2 საათის და მიუმატა ფასს 20 კაპ., მესამე საათ დეგ დახარჯა სამი საათის შრომა და მ ფასს 30 კაპ. ექვსი საათის შემდეგ კი მ ქონელის ფასს მიუმატა 60 კაპ. სწორედ ამ რამდენიც მეფაბრიკემ მისცა მას დღეურ მაშასადამე ექვსი საათის მუშაობის შემდ შამ მთლად გადიხადა ის, რაც მიიღო მ კისაგან. ასე მუშაობს მუშა მოელი კვირის კლობაში, რის შემდეგ მეფაბრიკეს მიაქვს ბაზარში გასაყიდად და უნდა იღოს 2000 მ

— რამდენი კინდა? 2000 მან.? კ

ვაჭარი: ეს ძალიან ბევრია. შენ გგონია, რომ შენი ძაფი 2000 მან. ღირს. აბა, ვიანგარიშოთ: ბამბა—1400 მან., მანქანა 80 მან., სხვა ხარჯი 24 მან., მუშების ქირა 360 მან., (თუ დღეში 100 მუშა მუშაობდა, ექვს დღეში მათი ქირა 600×60=360 მან.) სულ 1864 მან. მაშ მე შემიძლია მოგცე ძაფში 1864 მან. და ამაზე ერთ კაპეიკსაც ვერ მოგიმატებ. — როგორ? ამბობს მეფაბრიკე: მე არაფერი არ უნდა მოვიგო? თვითონ დავხარჯე 1864 მან., ჩემი შემოსავალი სადღაა? რისთვის-ღა გავხსენი ფაბრიკა?

მართლაც, მეფაბრიკეს არავითარი შემოსავალი არ ექნებოდა, რომ ერთი ხერხი არ მოეგონებია და არ ამუშავებდეს მუშებს ექვს საათზე მეტს.

მაგრამ მუშები იტყვიან: რატომ უნდა ვიმუშაოთ მეტი! ექვსი საათის განმავლობაში ჩვენის მუშაობით გადავიხადეთ ის, რაც მივიღეთ თქვენგან შრომის ფასად. ექვსი საათის მუშაობით შევმატეთ უკვე თქვენს საქონელს 60 კაპ. ღირებულობა და ამაზე მეტი არც თქვენ მოგიციათ ჩვენთვის.

მეფაბრიკე უპასუხებს მუშებს: მე თქვენი სამუშაო ძალა, შრომა ვიყიდე მთელის დღით და არა ექვსი საათით, ამიტომ შემიძლია გამუშაოთ მთელი დღე.

მუშებიც ძალაუნებურად იმის მაგიერ, რომ წავიდნენ და დაისვენონ, ან თავისთვის იმუშაონ, რჩებიან და ექვსი საათის შემდეგ კიდევ ექვს საათს მუშაობენ.

მეფაბრიკე აძლევს მათ ახალს მასალას, მუშები განაგრძნობენ მუშაობას, აკეთებენ ძაფს და თითოეული მათგანი უმატებს ბამბას ყოველი საათის შემდეგ 10 კაპეიკის ღირებულობას და 6 საათს შემდეგ კი 60 კაპ. ღირებულობას.

რასაკვირველია, ეს ახალი ღირებულობა, შეძენა არაფრად არ უღირს მეფაბრიკეს, რადგან პირველი ექვს საათის შემდეგ მეორე ექვს საათს მუშები მუქთად მუშაობენ, 100 ასეთი მუშა ექვსი დღის განმავლობაში შესძენს ჩვენს მეფაბრიკეს 360 მანეთს.

ახლა რომ ბაზარში გაიტანოს მეფაბრიკემ ძაფი, რას მისცემენ? უეჭველია იმავე 1864 მანეთს, რადგან ძაფშია დახარჯული 1400 მან. ბამბა, 80 მან. მანქანა, 24 მან. სხვა ხარჯი და 360 მან. სამუშაო ძალა — მუშების შრომა.

ახლა მეფაბრიკე სიამოვნებით გაყიდის ძაფს ამ ფასში, რადგან მას ძაფი 1864 მან. კი არ უღირს, არამედ მხოლოდ 1504 მან., რადგან 360 მანეთის შრომა მუქთად აქვს. ახლა ის უეჭველად მოიგებს. აბა, ვიანგარიშოთ მთლად. მეფაბრიკემ ექვსი დღის განმავლობაში დახარჯა 2800 მან. ბამბა (1400 მანეთის ბამბა დაეხარჯებოდა, მუშები რამ მხოლოდ ექვს საათს მუშაობდნენ დღეში), მანქანაზეც ორჯერ მეტი დახარჯა — 160 მან. (რადგან დღეში მუშაობა 12 საათის და არა ექვსი საათის განმავლობაშია), სხვა ხარჯიც მეტი ექნება — 48 მან., მუშების ქირა—360 მან. სულ დაეხარჯა 3368 მან. ძაფს კი გაყიდის 3728 მან. (პირველი ექვსი საათის განმავლობაში დამზადებული ძაფი 1864 მან. და მეორე ექვსი საათის განმავლობაში დამზადებულიც — 1864 მან.) მაშასადამე მოგება დარჩება 360 მან.

საიდან გაჩნდა ეს მოგება? იქიდან, რომ მეფაბრიკემ მუშებს ნახევარი დღე ქირა მისცა და ნახევარი დღე კი მუქთად ამუშავა. მუშებმა ექვსი დღის განმავლობაში მხოლოდ სამი დღის ქირა მიიღეს, სამი დღე კი უფასოდ იმუშავეს მეფაბრიკისათვის და ამით მოგება შესძინეს—ის 360 მან.

ახლა ჩვენთვის აშკარაა, თუ რისთვის ქირაობს მეფაბრიკე მუშებს. იმისთვის ქირაობს, რომ მათი შრომით ფული მოიგოს. მაშასადამე მეფაბრიკე მუშების შრომით ინახავს თავის თავს. ასეა მოწყობილი მთელი ცხოვრება მუშისა. მისი ნახევარი სიცოცხლე სხვას ეკუთვნის. ამიტომ ვამბობთ, რომ მუშა კაცი დღეს სხვისი ყმა და მონაა.

ასეთია მუშის მდგომარეობა არა მარტო ფაბრიკასა და ქარხანაში, არამედ უბრალო პატარა სახელოსნოშიაც. სახელოსნოს პატრონი აძლევს მუშას 6 საათის შრომის ქირას, მაგრამ ამუშავებს 14-15 საათს დღეში, ქირას აძლევს ერთ მანეთს და აკეთებინებს ორი მანეთის და ორი მანეთ ნახევრის საქმეს და ამით იგებს ფულს.

ასე ყვლეფავს გლეხსაც მემამულე. გლეხს მიწა არა აქვს, მიდის მიწის პატრონ მემამულესთან, მუშაობს მის მიწაზე დილიდან საღამომდის 16 საათის განმავლობაში და რასაც გააკეთებს და მოიყვანს, ნახევარი მისია, ნახევარი მიწის პატრონისა. ესეც შრომის და ძალღონის გაყიდვაა და სადაც ასეთი გაყიდვაა, იქ ყოველთვის იჩაგრება მუშა კაცი. აშკარაა, რომ მემამულეც მუშა გლეხის შრომით ინახავს თავს, გლეხის შრომისაგან აქვს მემამულეს შემოსავალი.

19

წერილი რედაქციის მიმართ

სიკვდილი! ამ სიტყვას მალმალე ვკითხულობთ ხოლმე გაზეთებში. საცაა ჩვენს მოთმინებას ბოლო მოელება. ჩვენ, ქარელის რაიონის ასის თავები და ათის თავები ვუცხადებთ ზიზღს უდანაშაულოთ და მხეცურათ მოკლულ ამხანაგის იცა რიეინაშვილის მკვლელებს, შენ კი, ამხანაგო, გაძლევთ ფიცს, რომ გადაუხადოთ მტარვალებს ერთი ასათ. შენი სახელი ლარჩება ჩვენს გულში სამუდამოთ. ლიდება შენ, მებრძოლო ამხანაგო!

ქარელის რაიონის მონდობილებით

გლეხი ვანო ჭ—ძე.

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ადამაშვილი.**

„გლეხის“ აგენტები პროვინციებში.

ქ. ქუთაისი: წიგნის მაღაზია „კოლხიდა“.
ქ. ბათუმი: ქალაქის საბჭო, ბ. გამყრელიძე და ამხან. „გეორგია“.
სადგური ხაშური: კასირი გიორგი ჩარხიშვილი.
ჭიათურა: ბ. ბერიძე. ილიკო კაკაბაძე.
ყვირილა: წიგნის მაღაზია გაჩეჩილაძისა. პლატონ ლეკავა.
ფოთი: ი. კოხრეიძე. ონისიმე ყვანია. მიხეილ ესაკია.
სამტრედია: კირილე კოხრეიძე.
დიდი-ჯიხაიში: ნიკოლოზ სოსელია.
ქ. გორი: მიხა აღუაშვილი და წიგ. მაღ. ალ. ბერეგაძესი.
ქ. დუშეთი: მღვდ. ტატუნაშვილი. ზაქ. სვიანაიძე.
ქ. თელავი: ივანე პაატაშვილი.
ქ. სიღნაღი: გიგო შაიშმელაშვილი.
დ. ხონი: მოსიკო ჭელიძე.
დ. ცხინვალი: ნიკო კასრაძე.
ქ. ოზურგეთი: პარმენ თოთიბაძე, მ. ტულუში და წიგ. მაღ. „იმედი“.
ქ. სოხუმი: უშანგი პატარაია და ბ. თედო სახოკია.
ქ. ახალციხე: კოსტანტინე გვარამაძე.
ფუგდიდი: ევგენი ძაძამიძე.

ყველა ზემოხსენებულ პირებთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „გლეხზე“

დაიბეჭდა და იყიდება ახალი წიგნი **არჩილ ჯორჯაძისა**

ძველი და ახალი

ფასი **25** კაპ.

იბეჭდება და მალე გამოვა ახალი წიგნი

საუბარი გლეხებთან

გამოცემა „გლეხისა“

„გლეხის“ კანტორაში იყიდება ახალი წიგნები

გადასახადების შესახებ

გამოცემა „გლეხისა“. ფასი 3 კ. აგენტებ წიგნების მაღაზიებს 20% დაეთმობათ.

ეროვნულ-დემოკრატიული სოციალისტური გაზეთი

ეროვა

სურათებიანის დამატებით

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით ერთის წლით	7 მან.	საზღვარ-გარედ გაგზავნ. ერთის წლით	11 მან.
ეთის თვით	50 კაპ. სურ.	ერთის თვით	1 მან.
დამატებით	80 კ.		

პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება 4 მან.

კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, სასტელ მარტირუსოვისა.

ივერია

1906 წელს

5 მარტიდან გამოდის ყოველკვირეულად, ზომით ერთიდან ორ თაბახამდის.

ფასი გაზეთისა წლის დამლევამდის ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნით 3 მან., 5 თვით — 2 მანეთი.

„ივერიის“ შარშანდელ ხელის მომწერთ, რომელთაც ხელმოსაწერი ფული სრულად ჰქონდათ შემოტანილი, დაურიგდებათ დაკლებული პრემიები №№ 8—11, რომლებიც უკვე დაბეჭდილია, ხოლო დანარჩენ მე-12 ნომრის მაგიერ გაეგზავნებათ ყოველკვირეული „ივერია“ ერთი თვის განმავლობაში.

ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ფრედანის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція «ИВЕРІА».

სტამბა „ი დ ე ა ლ ი“ (მ. დ. კიკნაძისა)
ნიკოლოზის ქუჩა, მილოვის სახლი № 6.